ოქმი:**ო31. 3124066001**
თარიღი:**06/03/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N2

ქ. ლანჩხუთი

27. 02. 2024 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალეკო კირვალიძე, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პაატა ურუშაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.

მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

4. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურორტ გრიგოლეთის მე-2 და მე-6 ქუჩებისთვის ნოდარ დუმბაძის სახელის მინიჭების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

6.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალეკო კირვალიძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

8. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის“ (ს/ნ 402157330) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2024 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალეკო კირვალიძე/

10. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი პაატა ურუშაძე/

12.სხვადასხვა საკითხები

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.

მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ სხდომაზე დასასწრებად ჩაწერილია მოქალაქე იური ჩხაიძე და მას სიტყვით გამოსვლის საშუალება მიეცემა სხვადასხვა საკითხების განხილვის დროს.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2 100 000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით უნდა მიიმართოს 110527 ლარი, სულ პროექტების ღირებულება შეადგენს 2210527 ლარს. აქედან, ქალაქ ლანჩხუთში გურიელის, ნინოშვილის, ურუშაძისა და ყაზბეგის ქუჩების რეაბილიტაციაზე 1157895 ლარი, მათ შორის რეგ.ფონდიდან 1100000 ლარი; ჩოჩხათი-არჩეულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 1052632 ლარი, მათ შორის რეგ.ფონდიდან 1000000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2401 განკარგულებით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოიყო 748000 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიმართოს 220000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის N56 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის 1451720,62 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N 2400 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 221000 ლარი, რომელიც მიიმართება სოფ. ქვიანში სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციაზე.

ზემოთ აღნიშნულ განკარგულებაში მიმდინარე წლის 14 თებერვლის საქართველოს მთავრობის N184 განკარგულებით შესული ცვლილებით, მუნიციპალიტეტს დამატებით

გამოეყო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად 600000 ლარი, რომლიდანაც მოსახლეობისათვის თუნუქის სახურავის და ხის მასალის შეძენისათვის მიიმართება 425700 ლარი, ქ.ლანჩხუთში სამუსიკო სკოლის, აღმაშენებლის I ჩიხის ბინა 3-ის, საფო მგელაძის ქ. N53-ის და სუფსის ადმ.ერთეულში მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაციაზე - 174300 ლარი.

წინა წლებში საქართველოს მთავრობის განკარგულებებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხებიდან აუთვისებელი თანხები, რომელიც 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტში ირიცხება ნაშთად და უნდა გაიხარჯოს მიზნობრივად, კერძოდ: საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებით გამოყოფილი თანხა 1000010,65 ლარი უნდა მიიმართოს: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლუატაცია - რეაბილიტაციაზე 37323,62 ლარი, გზების კაპიტალურ შეკეთებაზე - 713216,07 ლარი, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაციაზე - 249470,96 ლარი.

2023 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხით ქ.ლანჩხუთში განხორციელებული ქუჩების რეაბილიტაციის თანადაფინანსებაზე ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთიდან მიიმართოს 86177,07 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებით გამოყოფილი თანხა 260647,67 ლარი მიიმართოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს N1419 განკარგულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართოს 576656,48 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 225710,25 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის N147 განკარგულებით გამოყოფილი 59273,91 ლარი მიიმართოს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულებით გამოყოფილი თანხა 30399,89 ლარი მიიმართოს სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 სექტემბრის N1740 განკარგულებით გამოყოფილი თანხებიდან 129809 ლარი მიიმართოს სტიქიით დაზიანებული გზების გაწმენდითი სამუშაოების განხორციელებისათვის ტექნიკის დაქირავებაზე, 72031 ლარი მიიმართოს სტიქიით დაზიანებული მოსახლეობის სასტუმროს მომსახურების ხარჯების დაფინანსებაზე.

ჟორდანიას ქუჩაზე საფეხმავლო ბილიკების (შშმ პირებზე) ადაპტირების სამუშაოებზე ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთიდან მიიმართოს 92165,61 ლარი. სუფსის მუსიკალური სკოლის რეაბილიტაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთიდან მიიმართოს 194622 ლარი.

ოჯახების სოციალურ-ეკონომიური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამაზე სხვა ხარჯების მუხლიდან მიიმართოს (კლასიფ,მუხლი 2.8) 70617,90 ლარი. აქედან, 50000 ლარი გრანტის სახით ჩაირიცხება გერმანული საერთაშორისო ორგანიზაციის, ,,giz”-ის მიერ.

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვის არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდოს 132000 ლარით. მერიის არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდოს 60952 ლარით.

ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების დაფინანსება გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 8000 ლარით.

ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსება გაიზარდოს 4900 ლარი. ა(ა)იპ სპორტულ ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსება გაიზარდოს 4900 ლარი.

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ხარჯზე. შეთანხმების საფუძველზე მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსებაზე მიმართული იქნა ფინანსური დახმარება

1100000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 25 დეკემბრის #2324 განკარგულებით გამოიყო ფინანსური დახმარება 1000000 ლარი, რომელიც ჩაირიცხა 2023 წლის 28 დეკემბერს და აისახა ბიუჯეტის ნაშთში. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შემცირდეს 2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 1100000 ლარით და ხარჯების დაფინანსება განხორციელდეს ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთიდან 1100000 ლარის ოდენობით.

ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში საქონელი და მომსახურების (03 01) მუხლის 112000 ლარის და მუნიციპალური ტრანსპორტის (02 07) საქონელი და მომსახურების ხარჯის 7250 ლარით შემცირების ხარჯზე, გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი - 100000 ლარით, შტატით მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი - 19250 ლარით.

საკრებულოს წევრმა **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 22400000 ლარის ფარგლებში, ახლანდელი ცვლილებით, ბიუჯეტის თანხა იზრდება 30000000 ლარამდე. მუნიციპალიტეტს რგფ-დან გამოეყო 2100000 ლარი. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, სად იყო 5500000 ლარი, რომელიც აქამდე არ იყო ასახული.

მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2100000 ლარი, ასევე, დამატებით - სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად 600000 ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოიყო 748000 ლარი, რაც საერთო ჯამში, 3500000 ლარზე მეტია. დანარჩენი თანხა კი ეს არის ნაშთის თემა, კერძოდ, 1000000 ლარი, რომელიც უნდა დამატებოდა 2024 წლის ტრანსფერს და ჩაირიცხა გასული წლის დეკემბრის თვის ბოლოს. ასევე, მიმდინარე პროექტები, რომლებიც იყო აუთვისებელი და სხვადასხვა თანხა, რაც 2024 წელს ნაშთად იქნა გადმოტანილი. რაც შეეხება, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილ თანხას, 221000 ლარი მიიმართება სოფ. ქვიანში სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციაზე და ასევე, დამატებით გამოყოფილი 600000 ლარი მიიმართება მოსახლეობისათვის თუნუქის სახურავის და ხის მასალის შესაძენად და ქ.ლანჩხუთში სამუსიკო სკოლის, აღმაშენებლის I ჩიხის ბინა 3-ის, საფო მგელაძის ქ. N53-ის და სუფსის ადმ.ერთეულში მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაციაზე.

საკრებულოს წევრი **გიორგი გოგუაძე** შეეხო წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე გამოყოფილ 260647,67 ლარს და დაინტერესდა, რაიმე თანხა არის თუ არა მიცემული სამუშაოების შემსრულებელი კომპანიისთვის, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ საუბარი იყო დიდ პროექტზე, რომლის ღირებულება მლნ. ლარზე მეტია და შეეხებოდა ხუთ სოფელს. აღნიშნული თანხა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიმართა ორ სოფელში, გულიანსა და სუფსაში-ტაბანათის უბანზე ახალი ჭაბურღილების დადგმაზე. აქ წყალმომარაგების ქსელი უკვე მოწყობილია. ახალმა კომპანიამ ერთად უნდა განახორციელოს როგორც პროექტირება, ასევე, მშენებლობაც. რაც შეეხება ძველ პროექტს, შემსრულებელი კომპანია ითხოვს 380000 ლარს. ეს თანხა დევს მუნიციპალიტეტის ანგარიშზე. ორივე მხარის მიერ მოხდა გასაჩივრება და იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადაწყვეტს, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა გადაუხადოს კომპანიას, შესაბამისად, მოხდება ვალდებულების გასტუმრება. თუ არადა ეს ფული დარჩება მუნიციპალიტეტის ანგარიშზე.

საკრებულოს წევრი **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა სუფსის სამუსიკო სკოლის საკითხით, ასევე, ყურადღება გაამახვილა სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე გამოყოფილ 30399,89 ლარზე და აღნიშნა, რომ თუ თანხა გასული წლის ნაშთია, ეს ეწინააღმდეგება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დებულებას. ამასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ პროექტის დასრულება მოხდა 2023 წლის ბოლოს, ხოლო თანხა ჩაირიცხა 2024 წლის დასაწყისში, რაც არ ეწინააღმდეგება დებულებას. რაც შეეხება სუფსის სამუსიკო სკოლის თემას, განმარტა, რომ გასულ წელს ბიუჯეტში ბოლო ცვლილებისას გამოცხადდა ტენდერი და დაახლოებით, დეკემბრის თვის დასაწყისში გაფორმდა ხელშეკრულება, ხოლო დასრულების ვადად განისაზღვრა მიმდინარე წლის ოქტომბრის თვე. პროექტის ჯამური ღირებულებაა ნახევარი მლნ. ლარი.

საკრებულოს წევრი **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, რამდენად სწორად მიაჩნია მუნიციპალიტეტის მერს, რომ გასული წლის დეკემბრის თვეში დამტკიცებულ ბიუჯეტში უკვე თებერვლის თვეში შედის შიდა ცვლილება მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-თან მიმართებაში. ამასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ტრანსპორტის განყოფილებამ უნდა განახორციელოს ავტობუსების მოვლა-პატრონობა. საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით, განიხილება ორი ბანკი: საქართველოს და თიბისი. შესაბამისად, ითანამშრომლებენ იმ ბანკთან, რომელიც მუნიციპალიტეტს შესთავაზებს უკეთეს პირობებს.

საკრებულოს წევრი **გოჩა ჯანაშია** შეეხო ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში მომხდარ სტიქიას და დაინტერესდა, განიხილება თუ არა ისეთი ოჯახების დახმარება კომპენსაციის სახით, რომლებიც არ ექვემდებარებიან გასახლებას, მაგრამ სტიქიის შედეგად დაუზიანდათ კარ-მიდამო. ასევე, შეისწავლა თუ არა ცენტრალურმა ხელისუფლებამ ადგილზე შექმნილი სიტუაცია, რათა შეიქმნას გარკვეული წარმოდგენა მომავალში მეწყრული პროცესების განვითარების მოლოდინებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, იგეგმება თუ არა ქვედა მამათში გზის გარკვეული მონაკვეთის გაკეთება, რადგან ამ მხრივ ძალიან ცუდი მდგომარეობაა და გადაადგილება ფაქტობრივად, შეუძლებელია.

სტიქიასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ შესწავლილია ბევრი ოჯახი, რომელთა მიმართაც წერია სხვადასხვა დასკვნა. მიმდინარეობს მუშაობა, მაგრამ ამ ეტაპისთვის მათზე კომპენსაციის გაცემის თაობაზე საუბარი არ არის. ფინანსური დახმარება გაეწევა მხოლოდ 370 ოჯახს, რომლებიც ექვემდებარებიან გასახლებას. რაც შეეხება კომპენსაციას, ყველა ოჯახზე ვერ ხერხდება გაცემა, რადგან უმეტესობას არ აქვს დოკუმენტაცია მოწესრიგებული. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების მიერ ადგილზე მოხდა ამ ოჯახებისთვის უფასო მომსახურების გაწევა, მაგრამ თვითონ, ოჯახებში შექმნილი გარკვეული სიტუაციების გამო მაინც შეფერხებულია კომპენსაციის გაცემა. ჯერ-ჯერობით, 370 ოჯახიდან, რომლებიც გეოლოგების დასკვნის საფუძველზე ექვემდებარებიან გასახლებას, მხოლოდ 170 ოჯახს ჩაერიცხა თანხა, რადგან ჰქონდათ მოწესრიგებული დოკუმენტაცია. რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ საკითხებს, ყოველდღიურად მუშაობენ და განიხილავენ პრობლემებს, რადგან ყველა გამოწვევა, რაც შეიქმნა სტიქიის შედეგად, დროულად იქნას აღმოფხვრილი. მერის წარმომადგენლებმა და მაჟორიტარმა დეპუტატებმა გაწიეს საკმაოდ სოლიდური შრომა, რის შედეგადაც გაიცხრილა ჩამონათვალი პრიორიტეტების მიხედვით. ამ მხრივ ორი ობიექტის რეაბილიტაცია დასრულდა. ერთი ეს არის ჩოჩხათის სასაფლაოსთან მისასვლელი ხიდი, რომლის პროექტირება ადგილობრივმა სამსახურებმა შეასრულეს, ხოლო მეორე, ჩოჩხათი-ხორეთის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა, რაც მიმდინარეობს საგზაო დეპარტამენტის დაკვეთით. ასევე, სოფელ მაჩხვარეთში, ცენტრალურ გზაზე მთავარ ხიდს საფრთხეს უქმნიდა მდინარე. შესაბამისად, ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები 250000 ლარის ფარგლებში. რაც შეეხება ქვედა მამათის საკითხს, შექმნილი მძიმე სიტუაციიდან გამომდინარე, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად მოხდა ტრაქტორების მიერ შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. პირველ რიგში უნდა განხორციელდეს ნაპირსამაგრი სამუშაოები, რათა შემდგომ მოხდეს გზის რეაბილიტაცია. გარდა ამისა, ქვედა მამათში მოხდება ოთხი ხიდის პროექტირება.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის **ემზარ თევდორაძის** განცხადებით, შექმნილი მძიმე სიტუაციის გათვალისწინებით, შეთანხმებულები არიან, რომ პირველ რიგში ქვედა მამათში მოხდება გზის რეაბილიტაცია. აქ ჩასატარებელია მთელი რიგი სამუშაოები.

საკრებულოს წევრი **ჯუმბერ ბლაგიძე** დაინტერესდა, რა მდგომარეობაა ხიდმაღალას სასაფლაოს მიმდებარედ, სტიქიის შედეგად დაზიანებული არხის მოწესრიგებასთან დაკავშირებით. ამის შესახებ მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ კონკრეტულ ლოკაციაზე საჭიროა ნაპირსამაგრის მოწყობა და სანიაღვრე არხის მოწესრიგება, რაც საკმაოდ ძვირადღირებული სამუშაოა. ეს არის სტიქიის თემა და სოფლის პროგრამის ფარგლებში ვერ განხორციელდება. გრძელდება ამ კუთხით მუშაობა და ეს საკითხი ნამდვილად არის მონაცემებში გათვალისწინებული.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** შეეხო ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საკითხს და დაინტერესდა, იგეგმება თუ არა 2024 წლის განმავლობაში ლესაში, კერძოდ, კორეის და ფოცხვერეთის უბნებში გზის

რეაბილიტაცია. ასევე აღნიშნა, რომ სოფელ ჯურუყვეთში ვერ მოხერხდა მყისიერად სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის და რამდენიმე ხიდის მოწესრიგება. მას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის უნდა იქნას მეტი თანხა გათვალისწინებული.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, სოფელ ჯურუყვეთში მიმდინარეობს ორი ძალიან დიდი პროექტი: ცენტრალური წყალმომარაგების სისტემის კეთილმოწყობა და გაზიფიცირება, რა პროცესებიც გარკვეულწილად, სტიქიის შედეგად შეფერხდა, მაგრამ სამუშაოები აქტიურად გრძელდება. გარდა ამისა, მიდის მუშაობა ცენტრალური გზის პროექტირებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება კორეის უბანს, ტენდერი დასრულებულია და ამ ღირებულებაში მოხდება პროექტის მომზადება და მიმდინარე წელს დაიწყება შესაბამისი სამუშაოები. ფოცხვერეთის უბანში არის 11ოჯახი, რომელთაც ორი მხრიდან ემუქრება სტიქიური საფრთხე. გამაგრებითი სამუშაოების ღირებულება შეადგენს დაახლოებით 2 მლნ.ლარს. თავის მხრივ, გეოლოგები არ გამორიცხავენ, რომ სულ სხვა მიმართულებიდან განვითარდეს მეწყრული პროცესები, რის შედეგადაც მიდის მსჯელობა, რომ ეს ოჯახები ჩაისვას გასასახლებელთა სიაში. ელოდებიან როგორც მოსახლეობის, ასევე, გეოლოგების გადაწყვეტილებებს. ასეთივე მდგომარეობაა შექმნილი რამდენიმე სოფელში. მათ შორის სოფელ ჩოჩხათში. არჩეულის დამაკავშირებელი ცენტრალური გზა, რომელიც მოწყდა 300-400მ სიგრძეზე, სადაც გეოლოგების ჩართულობის გარეშე რაიმე სამუშაოს ვერ ახორციელებენ. საუბარია, რომ აქ მოეწყოს დროებითი საფეხმავლო გზა. იგივე ვითარებაა მოედანი-ხორეთის და კოკათი-ხორეთის დამაკავშირებელ გზებზე, სადაც გეოლოგები ზაფხულამდე ვერ დადებენ დასკვნას.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის **ემზარ თევდორაძის** ინფორმაციით, მოხდება გამაგრებითი სამუშაოების დაფინანსება. მუნიციპალიტეტის მერმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ კარ-მიდამოს მოწესრიგების და გამაგრებითი სამუშაოების დაფინანსებაზე არანაირი საუბარი არ არის, გარდა ცენტრალური და საუბნო გზისა. გადამოწმდა 1000 ოჯახზე მეტი, საიდანაც გარკვეული საფრთხისშემცველი ოჯახები ჩართულები არიან მონიტორინგში. დამატებით, გადაგზავნილია 180 მოთხოვნა, საიდანაც ამ ეტაპისთვის შესწავლილია 72 და ელოდებიან პასუხს. რაც შეეხება უშუალოდ გეოლოგებს, მათი მხრიდან მაქსიმალურად გაკეთდა ყველაფერი. ეს ადამიანები ათწლეულებია, მუშაობენ და აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 6 წევრი (გიორგი გოგუაძე, ირმა მგელაძე, გივი ცინცაძე, მაკა მშვიდობაძე, ჯუმბერ ბლაგიძე, გოჩა ჯანაშია)
მიღებულ იქნა დადგენილება N2 (27.02.2024).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ოქტომბრის N 784 ბრძანებულების პირველი მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა, ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულოები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე ნაწილის „ე„ პუნქტის „ე .გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული მიწის ნორმატიული ფასის დადგენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ, მომზადდა ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების პროექტები. ამასთანავე, ამავე დადგენილებითვე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 თებერვლის №7 დადგენილება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.
მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N3 (27.02.2024).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს, მომართა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი დუგლაძემ 2024 წლის 31 იანვრის N5/5046 წერილით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი და ძირითადი კატეგორიის უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასაცემად, შემდგომში აღნიშნული ქონების სსიპ ,, ენერგო - პრო ჯორჯიასთვის “, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის “ 108-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება - სახელმწიფოს გადასცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (გაუსხვისებელი) ქონებისა. ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის პოზიციით, აღნიშნული ქონების (ს/კ 27.00.353) სახელმწიფოსთვის გადაცემა არის საჭირო, ვინაიდან მუნიციპალიტეტი მოკლებულია შესაძლებლობას, უზრუნველყოს ხაზოვანი ობიექტის ოპერირება და მოვლა - პატრონობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მოთხოვნილი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებული საკითხი განიხილოს საკრებულომ და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. სახელმწიფოს მიერ მოთხოვნილ დამატებითი კატეგორიის ქონების (ხაზობრივი ობიექტი (ს / კ 27.00.353), კომპლექტური ტრანსფორმატორები და უძრავი ქონება - (ს/კ 27.09.41.139)) გადაცემასთან დაკავშირებული საკითხის განხილვისას გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ საკრებულომ სახელმწიფოს მიერ მოთხოვნის წარმოდგენიდან 45 დღის განმავლობაში არ განიხილა და არ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, მაშინ მოთხოვნილი დამატებითი კატეგორიის ქონება სახელმწიფოსათვის გადაცემულ ქონებად ჩაითვლება და სახელმწიფო ქონებად დარეგისტრირდება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.
მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N5 (25.01.2024).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულომ ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი. აქედან გამომდინარე, მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. ამასთანავე, ამავე დადგენილებითვე, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 მარტის N10 დადგენილება. ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.
მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N6 (25.01.2024).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურორტ გრიგოლეთის მე-2 და მე-6 ქუჩებისთვის ნოდარ დუმბაძის სახელის მინიჭების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ,** რომლის განმარტებით, სამთავრობო კომისიიდან მიღებულია თანხმობა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია კურორტ გრიგოლეთის მე-2 და მე-6 ქუჩებისთვის ნოდარ დუმბაძის სახელის მინიჭება. მან ასევე აღნიშნა, რომ სასურველია, აღნიშნული ქუჩების დამისამართება განხორციელდეს საკურორტო სეზონის დაწყებამდე. ასევე, მადლობა გადაუხადა საკრებულოს ფრაქციებს, რომლებმაც განიხილეს აღნიშნული საკითხი.

საკრებულოს წევრის **ჯუმბერ ბლაგიძის** განცხადებით, მიესალმება წარმოდგენილ საკითხს, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ გრიგოლეთში მთავარ ქუჩას მიენიჭა წმ. გრიგოლის სახელი. კარგი იქნება, თუ ტურისტული სეზონის დაწყებამდე მოხდება დამისამართება, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განაცხადა, რომ საკითხის შესახებ ცნობილია, ასევე, მოხდება გრიგოლ ღვთისმეტყველის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.

მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N7 (27.02.2024).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ალეკო კირვალიძემ.** მან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად განსახილველად და მოსაწონებლად წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2024 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა:

1. ქ. ლანჩხუთში სპორტული დარბაზის მშენებლობა - სავარაუდო ღირებულება 2900000 ლარი;

2. ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩაზე N114-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საძირკვლის რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება 144000 ლარი.

საკრებულოს წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, სპორტული დარბაზის მშენებლობასთან დაკავშირებით, რადგან ეს ისტორიული და ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ ქალაქი დღითიდღე ლამაზდება და წესრიგდება.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ემზარ თევდორაძე** დაეთანხმა კოლეგას და თავის მხრივ აღნიშნა, რომ ნამდვილად ბევრი რამ კეთდება, რაც მისასალმებელი ფაქტია.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.
მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N8 (27.02.2024).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი:„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ საკრებულოს განკარგულების ცვლილების პროექტი, მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, რომელიც მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ, საწყისი საპრივატიზაციო ფასის განსაზღვრის მიზნით, მერიის მოთხოვნით შეფასებული მუნიციპალური ქონება, კერძოდ, ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში, 1-ლი ქუჩის N60 მდებარე 1034,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 407,797 კვ.მ. შენობა-ნაგებობა ((ს/კ 27.10.46.434) ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 20 დეკემბრის N009037523 დასკვნით, ქონების ღირებულება შეადგენს 1 კვ.მ. შენობა-

ნაგებობის - 100 ლარს, ხოლო 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის - 30 ლარს.) შემდგომში განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.
მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N9 (27.02.2024).

დღის წესრიგის მერვე საკითხი:,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის“ (ს/ნ 402157330) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, 2024 წლის 7 თებერვლის N 1000395 4 24 00147631 წერილით მომართა ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ენუქიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მის დაწესებულებას სარგებლობაში ჰქონდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მაგრამ ამ ეტაპისათვის პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებისა და ამბულატორიისთვის განკუთვნილი ფართის რეაბილიტაციის მიზნით, ესაჭიროება უკვე სხვა საკადასტრო კოდზე არსებული, მუნიციპალური უძრავი ქონების - (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩოჩხათის მე-4 ქუჩის N45-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.13.43.001) პირველ სართულზე არსებული ორი ოთახი, კერძოდ, 14,63 კვ.მ. N13 ფართი (ს/კ 27.13.43.001 01/508) და 15,92 კვ.მ. N14 ფართი (ს/კ 27.13.43.001 01/509)) სარგებლობის უფლებით გადაცემა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს ორი წლის ვადით, გარდა აღნიშნული მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საკრებულოს წევრი **ირმა მგელაძე** დაინტერესდა, თუ არის გადაცემული სოფ. ჭანჭათის ამბულატორია, რადგან აქ კვირაში სამჯერ დადის ექთანი და მას არ აქვს ელემენტარული სამუშაო პირობები.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, სოფ. ჭანჭათს ცალკე ამბულატორია არ აქვს. აკეთის თემში ფუნქციონირებს ერთი ამბულატორია, რომელიც განთავსებულია ადმინისტრაციულ შენობაში, მაგრამ არ არის სახარბიელო მდგომარეობაში და საუბარია ახლის მშენებლობაზე.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.
მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N10 (27.02.2024).

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი:„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2024 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ალეკო კირვალიძემ.** მან განმარტა,

რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის № 654 დადგენილების შესაბამისად. განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2024 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა.

საკრებულოს წევრს, **გიორგი გოგუაძეს** მიაჩნია, რომ მთავრობამ უნდა გააუქმოს აღნიშნული პროგრამა ან რამდენჯერმე გაზარდოს ამ კუთხით დაფინანსება. მან ასევე უკმაყოფილება გამოთქვა პროგრამის საჯარო განხილვასთან დაკავშირებით, რადგან არ ხდება მოსახლეობის და მათ შორის, ოპოზიციის მომხრე ადამიანებისთვის, შეხვედრის დროსა და ადგილზე ინფორმაციის დროულად მიწოდება.

მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, თანხას გამოყოფს მთავრობა განკარგულების საფუძველზე. არის სპეციალური ფორმულა, რომლითაც სოფლის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით განისაზღვრება დაფინანსება. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სწორედ ამ მიმართულებით ხორციელდება მატება. შესაბამისად, თუკი მუნიციპალიტეტს ექნება საშუალება, შესაძლებელია თანხის ზრდა. მიმდინარე წელს მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან გაიზიარეს გარკვეული გამოცდილება. როგორც ცნობილია, საგზაო ინფრასტრუქტურა ყველაზე დიდი გამოწვევაა. აქედან გამომდინარე, თუკი სოფლები პროგრამაში მიიღებდნენ თანამონაწილეობას და მუშახელი იქნებოდა ადგილობრივი, გაუორმაგდებოდათ თანხა. რამდენიმე სოფელმა გამოთქვა თანხმობა და ჯამში, დაემატა 220000 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, **ემზარ თევდორაძემ** უკმაყოფილება გამოთქვა სოფლის პროგრამებთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, ზოგადად, საკითხს მხარს დაუჭერს, მაგრამ პროგრამის ფარგლებში აკეთის, მამათის და აცანის ადმინისტრაციულ ერთეულები არ არის წარმოდგენილი არც ერთი სერიოზული და პრობლემატური პროექტით. განსაკუთრებით ცუდი სიტუაციაა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით. ამის გათვალისწინებით, მან მიმართა კოლეგებს და აღმასრულებელ ხელისუფლებას, შეიქმნას სამ კაციანი კომისია, რომელიც ადგილზე გაეცნობა ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ ვითარებას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 6 წევრი (გიორგი გოგუაძე, ირმა მგელაძე, გივი ცინცაძე, მაკა მშვიდობაძე, ჯუმბერ ბლაგიძე, გოჩა ჯანაშია)
მიღებულ იქნა განკარგულება N11 (27.02.2024).

დღის წესრიგის მეათე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის ანგარიში სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვერიკო კვირკველიამ,** რომელმაც აღნიშნა, რომ ანგარიშის წარდგენის პერიოდი მოიცავს 2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. 2023 წლის განმავლობაში გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ ჩაატარა 3 სხდომა. ითანამშრომლა სახელმწიფო უწყებებთან, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ჩაატარა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების და პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით კვლევა. გენდერული ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით ჩატარდა არაერთი შეხვედრა. საქართველოს პარლამენტისა და გაეროს განვითარების პროგრამის ორგანიზებით გაიმართა ყოველწლიური პოლიტიკური ფორუმი, სადაც პანელური დისკუსიების მონაწილეებმა განიხილეს გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკურ-სოციალური და პოლიტიკური საკითხები.

შშმ ქალთათვის ეფექტური და რეალური ცვლილებების განხორციელება გენდერული

უთანასწორობის აღმოსაფხვრელად გენდერულმა საბჭომ სამუშაო შეხვედრა გამართა საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიურ ცენტრთან "თანადგომა", ა(ა)იპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ეროვნულ ცენტრთან პარტნიორობის ფარგლებში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ახალგაზრდებთან შეხვედრა-დისკუსია გამართა გენდერული თანასწორობის პრინციპებზე, გოგონათა გაძლიერებაზე და გენდერულ ასპექტში მნიშვნელოვან საკითხებზე. გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა სექსუალური შევიწროების საკითხებზე. ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეხვედრა გენდერული თანასწორობის საბჭოსთან.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ და ფრაქციამ ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" ერთობლივი ანგარიში წარადგინეს.

საბჭოს დაკვეთით ჩატარდა ადგილობრივი მოსახლეობის პრიორიტეტების კვლევის ანალიზი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ჯამში 356 რესპონდენტმა, რომელთა 61% ქალი იყო, ხოლო 39%კაცი. დადებითად შეფასდა საბავშვო ბაღები, გარე განათება, ნარჩენების მართვა, სარწყავი წყალი, ქვეითთა გადასასვლელები.

დაბალი შეფასება მიიღო მიუსაფარი ცხოველების მართვამ, მოხუცებულთა თავშესაფრის, ვეტერინარულ სერვისის, პროდუქციის გასაღების ადგილების (აგრარული ბაზრობების), არარსებობამ. ხაზი გაესვა შშმ პირთათვის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. კვლევის მიზანი გახლდათ მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა, რათა გათვალისწინებულ იქნას გენდერული თანასწორობის მიღწევისკენ მიმართული ღონისძიებები.

გენდერული თანასწორობის საბჭო ყოველწლიურად აქტიურად მონაწილეობს „ვარდისფერი ოქტომბრის" საინფორმაციო კამპანიაში. ასევე, საბჭო ყოველწლიურად უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიან კამპანიას. საბჭომ წარადგინა საბიუჯეტო ინიციატივები:

ადაპტირებული შუქნიშნის მოწყობა;

გზების რეაბილიტაცია (მორჩილაძის ქუჩა);

გურული მხედრების მოედნის კეთილმოწყობა;

სივრცე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მოქალაქეთა ჩართულობისთვის);

ადმინისტრაციული შენობის ადაპტირება;

ადმინისტრაციული ცენტრების სადღესასწაულოდ მოწყობა;

კულტურის შენობის დარბაზის რეაბილიტაცია.

გენდერული პოლიტიკის წინაშე არსებული გამოწვევებია:

საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე გენდერულ საკითხებთან მიმართებით;

საბჭოს წევრი მამაკაცების ნაკლები ჩართულობა საქმიანობის პროცესში. სტატისტიკის არ არსებობა ბევრი მიმართულებით;

საჯარო მოხელეების ნაწილის შესაბამისი ცოდნის არქონა და მგრძნობელობა გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, **ვერიკო კვირკველიამ** საბჭოს სახელით მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, მერს, საკრებულოს თავმჯდომარეს და ყველა იმ ადამიანს, რომელთა მონაწილეობითაც შეძლეს ისეთი პროექტების განხორციელება, რაც მნიშვნელოვანია გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში.

საკრებულოს წევრმა **გიორგი გოგუაძემ** მადლობა გადაუხადა გენდერული თანასწორობის

საბჭოს თავმჯდომარეს ვერიკო კვირკველიას გაწეული საქმიანობისთვის და აღნიშნა, რომ ის არის ძალიან მოტივირებული და ენერგიული ხელმძღვანელი. ამის შემდეგ, საკრებულოს წევრმა თხოვნით მიმართა ვერიკო კვირკველიას, რომ დაინტერესდეს და გააკეთოს ემიგრაციაში წასული მშობლების და სტატუს შეჩერებული იმ მოსწავლეების სტატისტიკა, რომლებიც მშობლებს ახლავს ემიგრაციაში. ასევე, დაინტერესდეს მუნიციპალიტეტში შობადობის საკითხით, რადგან, რამდენიმე წელია, რაც მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს სამშობიარო.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** და მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** მადლობა გადაუხადეს გენდერული თანასწორობის საბჭოს და მის თავმჯდომარეს აქტივობებისა და გაწეული საქმიანობისთვის. მუნიციპალიტეტის მერმა ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში გაიხსნა სკრინინგ-ცენტრი. აუცილებელია, რომ მოხდეს მოსახლეობის ფართო ინფორმირება ამის შესახებ. გარდა ამისა, მედ-ალფას ესაჭიროება დაახლოებით 2 თვე, რათა მოწესრიგებული იქნას რიგი საკითხებისა. რაც შეეხება სამშობიაროს, ამ კუთხით მუშაობა დაწყებულია, რაშიც აქტიურადაა ჩართული გუბერნიაც. საავადმყოფო, როგორც ცნობილია, შესყიდული აქვს შპს ,,ადითს" და სახელმწიფომ დაიწყო მოლაპარაკება კლინიკის გამოსყიდვის თაობაზე. ამ შემთხვევაში, მას ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია, მაგრამ თუკი ვერ მოხდა მისი გამოსყიდვა, მაშინ საუბარი იქნება ახალი კლინიკის მშენებლობაზე.

საკრებულოს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს მიერ გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **პაატა ურუშაძემ.** მისი განმარტებით, ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge, 25/08/2023 წელი, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.112.016519) უნდა შევიდეს ცვლილება, კერძოდ: დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის" მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 6. გამარჯვებული გუნდის ან/და ინდივიდუალური მონაწილის დაჯილდოება

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მუნიციპალური, საქართველოს, რეგიონისა და საერთაშორისო მასშტაბით ორგანიზებული - საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების მონაწილე გამარჯვებული გუნდისა და ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით:

ა.ა) გუნდი: I ადგილი - 500 ლარი; II ადგილი - 300 ლარი; III ადგილი - 200 ლარი;

ა.ბ) ინდივიდუალური მონაწილე: I ადგილი - 300 ლარი; II ადგილი - 200 ლარი; III ადგილი - 100 ლარი.

ბ) რეგიონის მასშტაბით:

ბ.ა) გუნდი: I ადგილი - 1000 ლარი; II ადგილი - 800 ლარი; III ადგილი - 600 ლარი.

ბ.ბ) ინდივიდუალური მონაწილე: I ადგილი - 900 ლარი; II ადგილი - 800 ლარი; III ადგილი - 700 ლარი.

გ) საქართველოს მასშტაბით:

გ.ა) გუნდი: I ადგილი - 1200 ლარი; II ადგილი - 1000 ლარი; III ადგილი - 800 ლარი;

გ.ბ) ინდივიდუალური მონაწილე: I ადგილი - 900 ლარი; II ადგილი - 800 ლარი; III ადგილი - 700 ლარი.

დ) საერთაშორისო მასშტაბით:

დ.ა) გუნდი: I ადგილი - 1500 ლარი; II ადგილი - 1200 ლარი; III ადგილი - 1000 ლარი;

დ.ბ) ინდივიდუალური მონაწილე: I ადგილი - 1000 ლარი; II ადგილი - 900 ლარი; III ადგილი - 800 ლარი.

2. ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) 8-დან12 წლამდე სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებს შორის:

ა.ა) 8 წლამდე გოგოები და ვაჟები: I ადგილი - 300 ლარი; II ადგილი - 200 ლარი; III ადგილი - 150 ლარი;

ა.ბ) 10 წლამდე გოგოები და ვაჟები: I ადგილი - 300 ლარი; II ადგილი - 200 ლარი; III ადგილი - 150 ლარი;

ა.გ) 12 წლამდე გოგოები და ვაჟები: I ადგილი - 300 ლარი; II ადგილი - 200 ლარი; III ადგილი - 150 ლარი;

ბ) ღია ტურნირის სხვადასხვა კატეგორიას შორის:

ბ.ა) ღია კატეგორიას შორის: I ადგილი - 900 ლარი; II ადგილი -800 ლარი; III ადგილი - 700 ლარი; IV ადგილი - 600 ლარი; V ადგილი - 500 ლარი, VI ადგილი - 400 ლარი; VII ადგილი - 300 ლარი, VIII ადგილი - 250 ლარი; IX ადგილი - 200 ლარი, X ადგილი - 150 ლარი;

ბ.ბ) ქალთა შორის: I ადგილი - 450 ლარი; II ადგილი - 350 ლარი; III ადგილი - 300 ლარი.

ბ.გ) 16 წლამდე ვაჟებს შორის: I ადგილი - 350 ლარი;

ბ.დ) 16 წლამდე გოგოებს შორის: I ადგილი - 340 ლარი;

ბ.ე) 14 წლამდე ვაჟებს შორის: I ადგილი - 330 ლარი;

ბ.ვ) 14 წლამდე გოგოებს შორის: I ადგილი - 320 ლარი;

ბ.ზ) სენიორები: I ადგილი - 250 ლარი; II ადგილი - 200 ლარი;

ბ.თ) ურეიტინგო მოთამაშეები: I ადგილი - 150; II ადგილი - 120 ლარი.

გ) მწვრთნელთა შორის: I ადგილი - 500 ლარი, II ადგილი - 400 ლარი, III ადგილი - 300 ლარი, IV ადგილი - 250, V ადგილი - 200 ლარი.

3. ფეხბურთის საერთაშორისო ტურნირში მონაწილე გამარჯვებული გუნდის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიით დაკომპლექტებული ვაჟთა და ქალთა გამარჯვებული გუნდი (10,11,12,13,14,15,16, 17 წლიანთა გუნდები) - I ადგილი - 1500

ლარი, II ადგილი - 1000 ლარი, III ადგილი - 800 ლარი;

4. ჭიდაობის საერთაშორისო ტურნირში (ბერძნულ-რომაული, თავისუფალის სტილით) მონაწილე გამარჯვებული ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) ჭაბუკები (15-დან 23წლის ჩათვლით) 15 წონითი კატეგორია - I ადგილი - 300 ლარი, II ადგილი - 200 ლარი, III ადგილი - 100 ლარი;

ბ) უმცროს ჭაბუკთა (6-დან 15 წლამდე) შორის 10 წონითი კატეგორია - I ადგილი - 300 ლარი, II ადგილი - 200 ლარი, III ადგილი - 100 ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.
მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N12 (27.02.2024).

სხვადასხვა საკითხები:

მოქალაქე **იური ჩხაიძე** შეეხო მუნიციპალიტეტში განვითარებულ მეწყრულ პროცესებს და აღნიშნა, რომ ხდება მდინარე რიონის გადმოდინება, რის შედეგადაც იტბორება საკმაოდ დიდი ტერიტორია. თავის დროზე, კოლხიდმშენის მიერ მდინარე ფიჩორის ადიდებისას რეგულარულად ხდებოდა გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება. ამჟამად, ეს ორგანიზაცია გაუქმებულია და ობიექტები ჩაიბარა წყალთა მეურნეობამ, რომელიც ჯეროვნად ვერ ასრულებს გაწმენდით სამუშაოებს. შედეგად, მდინარე ფიჩორი ადიდებისას ვერ ატარებს წყალს, რის გამოც იტბორება ჩიბათის და გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიები. გასული წლის განმავლობაში რამდენჯერმე ჰქონდა ასეთ შემთხვევას ადგილი. თავის დროზე გათვალისწინებული იყო ხიდამდე 2 კმ. სიგრძის არხის გაწმენდა, რასაც ეწინააღმდეგება ბუნების დაცვის სააგენტო. ეს ფაქტი თავისთავად ხელს შეუშლის და გარკვეულ პრობლემას შეუქმნის კოლხეთის ეროვნული პარკის განვითარებას. იური ჩხაიძის მოსაზრებით, უნდა შეიქმნას კომისია, რისი შუამდგომლობაც მუნიციპალიტეტმა უნდა დააყენოს მთავრობასთან. კომისიამ საკითხის სათანადოდ შესწავლის შემდეგ, დადგენილება წერილობით, მიაწოდოს როგორც გუბერნიას, ასევე საქართველოს მთავრობას და პარლამენტს. თავის მხრივ, მზად არის, მონაწილეობა მიიღოს კომისიის მუშაობაში და საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, მიაწოდოს გარკვეული წინადადება თუ მოსაზრება, ხოლო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა მოხდეს შესაბამისი ღონისძიების გატარება.

მუნიციპალიტეტის მერმა მიმართა იური ჩხაიძეს, რომ საკითხისადმი მისი კომპეტენციის გათვალისწინებით, კარგი იქნება, თუ მისი მხრიდან შემოვა წერილობითი განცხადება, რომელიც შესაბამისად, გადამისამართდება სხვადასხვა უწყებაში, რადგან პრობლემა ძალიან რთული და გლობალურია, რასაც მუნიციპალიტეტი ვერ გადაწყვეტს, საჭიროა საკითხთან მიმართებაში რამდენიმე სამინისტროს ჩართულობა.
იური ჩხაიძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ 3-4 წლის წინ, უნდა გაწმენდილიყო ხიდამდე 2 კმ. სიგრძის არხი, მაგრამ პროექტი არ განხორციელდა. არხის გაწმენდის შემდეგ უნდა გაგრძელდეს მუშაობა პალიასტომის ტბამდე, ხოლო გვიმბალაურში, ძველ არხამდე უნდა გაიჭრას ალტერნატიული ხაზი.
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ საკითხი ძალიან რთულია და აუცილებლად უნდა იქნას დეტალურად შესწავლილი, რაშიც უნდა ჩაერთოს როგორც თავად იური ჩხაიძე, ასევე სხვა ფერმერებიც, რადგან ამ კუთხით აქვთ დიდი გამოცდილება.
იური ჩხაიძემ ასევე აღნიშნა, რომ ფერმერული მეურნეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რადგან ფერმებთან მისასვლელი გზა კატასტროფულ მდგომარეობაშია, რის გამოც სასწრაფო დახმარების და სამაშველო სამსახურის მანქანები ვერ მიდის. პრობლემის შესახებ თავის დროზე ესაუბრა გუბერნატორს, რომელსაც მიმართა თხოვნით, მისულიყო და ადგილზე ენახა

შექმნილი სიტუაცია. მან ასევე უკმაყოფილება გამოთქვა სოფლის პროგრამებთან დაკავშირებით, რადგან შეუძლებელია პრობლემატურ საკითხზე შეჯერება. მისი აზრით, ამ მიმართულებით გამოყოფილი თანხა უნდა გასამმაგდეს და შეიქმნას ერთიანი ფონდი. ამის შემდეგ, იური ჩხაიძემ დაზღვევასთან დაკავშირებით ითხოვა დახმარება, რადგან წყალდიდობის შედეგად, ფაქტობრივად, მოსავლის გარეშე რჩება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც შეისწავლის და გაანალიზებს შექმნილ სიტუაციას. რაც შეეხება ფერმერულ მეურნეობებამდე მისასვლელ გზას, საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად იმუშავებენ მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე ერთობლივად. პროცესში, ასევე, ჩაერთვება გუბერნატორიც. მართალია, ბეტონის გზის დაგებას ვერ დაჰპირდებიან უახლოეს მომავალში, მაგრამ მოწესრიგდება ისე, რომ გადაადგილებას პრობლემა არ შეექმნება.

იური ჩხაიძემ აღნიშნა, რომ იწყება ხვნა-თესვის სეზონი, ამიტომ საკითხს დროულად ესაჭიროება მოგვარება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** ინფორმაციის სახით აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ჩოლობარგში, ვახო თავდიშვილის უბანში, სადაც მიწა არის დაძრული, იმყოფებოდნენ გუბერნიის და შესაბამისი სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებმაც ადგილზე დაათვალიერეს და შეისწავლეს შექმნილი სიტუაცია. სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის პირობითად მითითებული იყო თანხა 180000 ლარის ფარგლებში, მაგრამ ვითარების ანალიზის შედეგად წარმომადგენლების მიერ გაიცა მითითება, რომ გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე მომზადდეს პროექტი და თანხა იქნება გაორმაგებული.

მუნიციპალიტეტის მერმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საკითხის შესახებ მისთვის ცნობილია. ეს პროექტი ძალიან ძვირადღირებულია. ამიტომ მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ, რათა ადგილზე ენახათ შექმნილი ვითარება, მაგრამ მათ ამ კუთხით არ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია. მომზადებული პროექტების შესაბამისად მოხდება შესწავლა და დაფინანსება. მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, დაახლოებით, 50 მლნ. ლარის ფარგლებშია ჩამონათვალი ცხრილების სახით გადაგზავნილი, რათა აღმოფხვრილი იქნას სტიქიის ზარალის შედეგები.

საკრებულოს წევრმა, **ირმა მგელაძემ,** პირველ რიგში სამძიმარი გამოთქვა სუფსის საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის, ქალბატონ მარინა სარჯველაძის გარდაცვალების გამო. ამის შემდეგ დასვა შემდეგი საკითხები:

როგორია ვითარება სუფსის და ხაჯალიის საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით;

სოფ. ჭანჭათის სამედიცინო ოთახის კეთილმოწყობა და ასევე, იმავე შენობაში არსებულ ბიბლიოთეკაში შუქის შეყვანა;

მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს გინეკოლოგიური კაბინეტი და არ ჰყავს ქირურგი;

საკრებულოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ 12 წელია, რაც სახელმწიფო ცდილობს შპს ,,ადითისგან“ საავადმყოფოს გამოსყიდვას. მან მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ საკითხთან დაკავშირებით მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია.

საკრებულოს წევრის განცხადებით, ასევე, საჭიროა ისაუბრონ ჯეროვნად შესრულებულ საქმეებზე. კერძოდ, ძალიან მოსაწონია ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში წერა-კითხვის გამავრცელებელი ოთახის რეაბილიტაცია. გარდა ამისა, როგორც მისთვის გახდა ცნობილი, ნიგოითის მოსახლეობა კარგად იყო ინფორმირებული სოფლის კრებასთან დაკავშირებით, სადაც შეთანხმდნენ სოფლის ბიბლიოთეკის რეაბილიტაციის თაობაზე.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ მაქსიმალურად ცდილობენ მოსახლეობას მიაწოდონ ინფორმაცია სოფლის კრებების შესახებ, სოციალური ქსელის და განცხადებების მეშვეობით. ასევე, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები დროულად აფრთხილებენ ადგილობრივებს ამის შესახებ. რაც შეეხება ყველაზე პრობლემატურ საკითხს- კლინიკას, მედ ალფამ ვერ გაიარა შესაბამისი აკრედიტაცია, მაგრამ მიმდინარეობს გარკვეული სამუშაოები, რათა კლინიკის შენობაში მოეწყოს ოთახი, სადაც დაიდგმება კტ-კვლევის აპარატი, რომელიც უკვე შეძენილია. აქედან გამომდინარე, კლინიკა, დაახლოებით, ორ თვეში გააგრძელებს ფუნქციონირებას სრული დატვირთვით. ამასთან, პირადად, ყოველ ღონეს იხმარს, რათა ადგილზე დროულად იქნას ჩამოსული მარეგულირებელი კომისია. ძველ საავადმყოფოსთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე არასწორად იქნა ამ კლინიკის გადაცემა, რის გამოც მიმდინარეობს სასამართლო პროცესები. მუნიციპალიტეტის მიერ ამ საავადმყოფოში მოხდა დიალიზის კაბინეტის მოწყობა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას შესაბამისი სამინისტროს წარმომადგენლებთან აქვთ სისტემატური

კომუნიკაცია. სახელმწიფო აქტიურად მუშაობს, რათა შპს ,,ადითისგან“ მოხდეს საავადმყოფოს გამოსყიდვა. პირადად დასვა საკითხი ახალი კლინიკის აშენების თაობაზე. სავარაუდოდ, უახლოეს პერიოდში გაირკვევა სიტუაცია. სოფ. ჭანჭათის სამედიცინო ოთახთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ აკეთის ადმ. ერთეულში, გაგურში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი ამბულატორია, რომლის რეაბილიტაციაც უნდა მოხდეს. რაც შეეხება ბიბლიოთეკას, თუკი შენობაში შუქი შეყვანილია, ნამდვილად არ იქნება პრობლემა ბიბლიოთეკაშიც მოწესრიგდეს ეს საკითხი. სუფსის და ხაჯალიის საბავშვო ბაღებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ ახალ სტანდარტებთან მიმართებაში, კერძოდ, უსაფრთხოების კუთხით, შეიქმნა გარკვეული პრობლემები. საჭირო გახდა ორივე ბაღში ახალი სახანძრო კარების დამონტაჟება. კომპანიის მიერ უკვე გაგზავნილია 112 სამსახურში შესაბამისი წერილი, 48 საათის განმავლობაში უნდა ჩამოვიდნენ სამსახურის წარმომადგენლები და ადგილზე ნახავენ ორთავე ობიექტს. სავარაუდოდ, არ უნდა შეიქმნას პრობლემა და უახლოეს დღეებში საბავშვო ბაღები მიიღებს აღსაზრდელებს. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სტანდარტის საბავშვო ბაღი არა მარტო მუნიციპალიტეტში, არამედ საქართველოში რამდენიმეა. მუნიციპალიტეტის მერი თავის მხრივ შეუერთდა სამძიმარს და მწუხარება გამოთქვა სუფსის საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის, ქალბატონ მარინა სარჯველაძის გარდაცვალების გამო.

საკრებულოს წევრმა, **გიორგი გოგუაძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ რადგან მიდის მოლაპარაკება სახელმწიფოს მიერ შპს ,,ადითისგან“ საავადმყოფოს გამოსყიდვის თაობაზე, იქნებ მოხდეს ყოფილი ტუბ. დისპანსერის შენობის დაბრუნებაც, რათა შემდგომ მუნიციპალიტეტმა გამოიყენოს საჭიროებისამებრ.

საკრებულოს წევრი, **ჯუმბერ ბლაგიძე** ასევე, შეუერთდა სუფსის საბავშვო ბაღის ხელმძღვანელის, ქალბატონ მარინა სარჯველაძის გარდაცვალების გამო გამოთქმულ სამძიმარს. ამის შემდეგ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ახალსოფლის, ხიდმაღალას და სუფსის საბავშვო ბაღები ახლის აშენებამდე დარჩენილიყო ძველ შენობაში, რადგან 6 თვეზე მეტია შეჩერებულია სააღმზრდელო პროცესი. ასევე აღნიშნა, რომ სუფსის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა ჯართისა და ნაგვისგან დღემდე ვერ მოხერხდა. მან მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ საკითხი აიყვანოს პირად კონტროლზე და კიდევ ერთხელ მიმართოს რკინიგზის დეპარტამენტს წერილობით. საკრებულოს წევრის განცხადებით, გრიგოლეთში მოსახლეობა შეთანხმდა, რომ გარემონტდეს ურეკის მიმართულებით მოსაცდელი. ასევე, უპრიანი იქნება გაკეთდეს ლანჩხუთის მიმართულებით მოსაცდელი. მან უკმაყოფილება გამოთქვა და აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომებზე ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ მიერ დასმულ კითხვებზე მუნიციპალიტეტის მერიიდან დროულად და ამომწურავად იქნას გაცემული პასუხები.

საკრებულოს წევრმა **გოჩა ჯანაშიამ** აღნიშნა, რომ სავალალო და კატასტროფულ მდგომარეობაშია ლანჩხუთის რკინიგზის სადგური. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, თუ ჰქონდათ კომუნიკაცია რკინიგზის დეპარტამენტთან და ზოგადად, როგორია ამ კუთხით ვითარება.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, გასული წლის განმავლობაში არაერთხელ ჰქონდა რკინიგზის დეპარტამენტთან კომუნიკაცია. მიმდინარე წელს კი მუნიციპალიტეტში განვითარებული სტიქიური მოვლენებიდან გამომდინარე, ეს ვერ მოახერხა. კონკრეტულად, საკრებულოს წევრის, ჯუმბერ ბლაგიძის საკითხთან დაკავშირებით, ორი წლის განმავლობაში რამდენჯერმე მიმართა წერილობით შესაბამის უწყებას, იყო მათი მხრიდან გარკვეული დაპირება, მაგრამ დღემდე არანაირი რეაგირება არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, აუცილებლად განაახლებენ წერილს.

საკრებულოს წევრმა, **გიორგი გოგუაძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ საკრებულოს მოთხოვნით, მოიწვიონ რკინიგზის დეპარტამენტის წარმომადგენლები, რათა ადგილზე გაეცეს გარკვეულ კითხვებს პასუხი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, რამდენად შესაძლებელია, რომ რკინიგზის დეპარტამენტმა უკან წაიღოს ის ქონება, რაც ამჟამად ირიცხება მუნიციპალიტეტის ბალანსზე.

მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, გასულ წელს რამდენჯერმე მიმართა რკინიგზის დეპარტამენტს, რომ იქნებ გაეთვალისწინებინათ სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი. გარდა ამისა, რკინიგზის სადგურები, რომელიც არის მუნიციპალიტეტის ბალანსზე, გადასულიყო მათ საკუთრებაში, მაგრამ ჯერ-ჯერობით პასუხი არ მიუღიათ. უახლოეს პერიოდში აუცილებლად მომზადდება აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით ახალი წერილი, რომელსაც გადაუგზავნიან შესაბამის

უწყებას. რაც შეეხება მოსაცდელების თემას, საგზაო დეპარტამენტიდან ჩამოსული იყო წარმომადგენელი, მოინიშნა ორი ლოკაცია: ერთი-ბათუმის და მეორე-ლანჩხუთის მიმართულებით. ასევე, საუბარია მიმდებარედ, სანიაღვრე არხების მოწყობაზე. რაც შეეხება საბავშვო ბაღების თემას, მიუხედავად მათი სურვილისა, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოგვარებულიყო საკითხი, მაინც გარკვეული პრობლემების გამო ვერ მოხერხდა სააღმზრდელო პროცესის დროულად დაწყება, რაზეც პირადად იღებს პასუხისმგებლობას, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს აღნიშნულ სიტუაციასთან მიმართებაში ბრალეულობა არანაირად არ მიუძღვის.
საკრებულოს წევრი **ჯუმბერ ბლაგიძე** დაინტერესდა საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებით, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ 5 ავტობუსი ჩამოსულია, საიდანაც ორის ღირებულებას გადაიხდის სახელმწიფო. ამჟამად მიდის გარკვეულ საკითხებზე აქტიური მუშაობა, რათა საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა იყოს ყოველმხრივ მოწესრიგებული.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

27 თებერვალი **2024** წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 00	
2	ემზარ თევდორაძე	11 55	
3	ვერიკო კვირკველია	11 05	
4	გიორგი ჩახვაძე	11 50	
5	გიორგი ხელაძე	11 50	
6	ალექსანდრე მახათაძე	11 42	
7	ზაზა წულაძე	11 55	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
9	გიორგი იმნაიშვილი	11 45	
10	ია მოქია	11:50	
11	კახაბერ ასკურავა	—	
12	მაკა მშვიდობაძე	11 38	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 45	
14	კარლო წილოსანი	11 50	
15	ლოლიტა ურუშაძე	12 00	
16	ნინო მშვიდობაძე	11:00	
17	გოგი მორჩილაძე	—	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-54	
19	გიორგი გოგუაძე	11 45	
20	გოჩა ჯანაშია	11 55	
21	ელისო ჭიჭინაძე	11 [illegible]	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 45	
23	კახა თედორაძე	11 55	

24	დარეჯან ბურჭულაძე	11 50	
25	ირმა მგელაძე	11 35	
26	გივი ცინცაძე	11 50	
27	ჯუმბერ ბლაგიძე	11 50	